



ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების
სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ფ. შ. შ.

ფრიდონ შენგელია

„*24*“ „*01*“ 2018 წელი

ეგზ. N1

საქართველოს პარლამენტის აპარატის

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის

ფინანსური აუდიტის ანგარიში *N 15/36*

სარჩევი

შემოკლებები	3
ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის აპარატის შესახებ	4
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე	7
1.1 პირობითი მოსაზრება	7
1.2 მოსაზრების საფუძველი	7
1.2.1 მოთხოვნები	8
1.2.2 ვალდებულებები	9
1.2.3 არასაბიუჯეტო სახსრები	9
1.2.4 მაჟორიტარული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრების ბიუროების ხარჯები	10
1.2.5 ბუღალტრული გატარებები: არასწორად კლასიფიცირებული მუხლები	13
2. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	14
3. აუდიტორის პასუხისმგებლობა	14
დანართი 1: საქართველოს პარლამენტის აპარატის ფინანსური ანგარიშგება	17
ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)	17
ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში	18
ფორმა N3 - ფულადი მოძრაობის შესახებ ანგარიში	19
ფორმა N4. კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიში	20
ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხის შედარების ანგარიში	21
დანართი 2: ფინანსური ანგარიშგების დანართები	22
დანართი 3: საქართველოს პარლამენტის აპარატის განმარტებითი ბარათი	35

შემოკლებები

- საქართველოს პარლამენტის აპარატი - **პარლამენტის აპარატი**;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - **ფინანსთა სამინისტრო**;
- „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია - **ინსტრუქცია**;
- მაჟორიტარული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრი - **მაჟორიტარი**;
- მაჟორიტარული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრის ბიურო - **მაჟორიტარის ბიურო**.


ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის აპარატის შესახებ

საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს საქართველოს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით, მათ შორის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

რეგლამენტი განსაზღვრავს პარლამენტის უფლებამოსილების განხორციელების წესსა და პროცედურას, პარლამენტის შინაგან სტრუქტურას და სავალდებულოა ყველა პარლამენტის წევრისათვის, კომიტეტისათვის, საგამომიებო და სხვა დროებითი კომისიისათვის, საპარლამენტო ფრაქციისათვის, უმრავლესობისა და უმცირესობისათვის.

პარლამენტის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით შექმნილია **პარლამენტის აპარატი**, რომლის სტრუქტურა, ფუნქციები და მუშაობის წესი განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით და მის შესაბამისად, აპარატის დებულებით. პარლამენტის აპარატის ფუნქციაა პარლამენტის ბიუროს, პარლამენტის თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების, პარლამენტის წევრების, კომიტეტების, ფრაქციების, უმრავლესობისა და უმცირესობის, საგამომიებო და სხვა დროებითი კომისიების საქმიანობის ორგანიზაციული, სამართლებრივი, დოკუმენტური, საინფორმაციო, საფინანსო, მატერიალურ-ტექნიკური და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება.

პარლამენტის აპარატის შემადგენლობაში სტრუქტურული საკოორდინაციო ერთეულების სახით შედიან დეპარტამენტები, სამსახურები და კომიტეტების აპარატები, რომელთა შემადგენლობას, დამტკიცებული საშტატო განრიგის თანახმად, შესაბამისი დეპარტამენტისა თუ სამსახურის უფროსის და კომიტეტის თავმჯდომარის წარდგინებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ნიშნავს და ათავისუფლებს პარლამენტის აპარატის უფროსი. საქართველოს აპარატის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით:



საქართველოს პარლამენტისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებები გათვალისწინებულია 3 პროგრამის დასაფინანსებლად, რომელიც წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

კოდი	დასახელება	დაზუსტებული ბიუჯეტი (ლარი)	საკასო ხარჯი (ლარი)	ხვედრითი წილი %
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები სულ	58,031,700	55,667,437	100
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	50,091,000	47,744,911	86
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	7,490,700	7,482,867	13
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	450,000	439,659	1

საქართველოს პარლამენტის აპარატის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები მოცემულია ცხრილში:

კოდი	დასახელება	დამტკიცებული ბიუჯეტი	დაზუსტებული ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	სხვაობა დაზუსტებ. და დამტკიცებ. შორის ¹	შესრუ ლების %
2.1	შრომის ანაზღაურება	27,004,400	24,904,400	24,787,183	(2,100,000)	99
2.2	საქონელი და მომსახურება	16,755,200	20,861,389	20,176,295	4,106,189	97
2.6	გრანტები	70,000	70,000	61,380	-	88
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	489,000	489,000	270,737	-	55
2.8	სხვა ხარჯები	349,800	349,800	347,477	-	99
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	5,422,600	3,415,800	2,101,226	(2,006,800)	61
33	ვალდებულებების კლება	-	611	611	611	100
	სულ საკანონმდებლო საქმიანობა	50,091,000	50,091,000	47,744,911	-	95.3

აუდიტის პერიოდში შრომის ანაზღაურების მუხლით გაცემულმა ხარჯმა საკასო ხარჯის 52% შეადგინა, რაც წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

¹ ცვლილება გამოწვეულია 2016 წლის ივლისში ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) საპარლამენტო ასამბლეის 25-ე ყოველწლიური სხდომის ჩასატარებელი ღონისძიებების დაფინანსებისთვის „საქონლისა და მომსახურების“ მუხლში წარმოქმნილი დეფიციტის შესავსებად.

დასახელება	საშ. რიცხოვნი ობა	სარგო	დანამატი ²	პრემია	სულ	(დანამატი + პრემია)/ სარგოსთან 6	დანამატი/ სარგოსთან
პარლამენტის წევრები	150	3,583,918	5,545,491	-	9,129,409	155%	155%
აპარატის მოსამსახურეები	570	6,194,274	7,244,725	2,186,151	15,625,149	152%	117%
შტატგარეშე მოსამსახურეები	81	-	32,625	-	32,625		
სულ:		9,778,192	12,822,841	2,186,151	24,787,183	153%	131%

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანების³ საფუძველზე, პარლამენტის აპარატის სამტატო ნუსხით გათვალისწინებული თანამდებობებისთვის თანამდებობრივი სარგოს პარალელურად, დანამატები დაწესებული იყო ფიქსირებული ოდენობებით. აუდიტის პერიოდში, აღნიშნული ბრძანების საფუძველზე, აპარატის საჯარო მოსამსახურეებზე დანამატები გაცემულია სულ 7,244,725 ლარის ოდენობით.

აღსანიშნავია, რომ შრომის ანაზღაურება, მათ შორის დანამატების და ჯილდოს გაცემის საკითხი დარეგულირდა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ 2017 წლის 22 დეკემბრის საქართველოს კანონით.

² პარლამენტის წევრებზე გაცემული დანამატი წარმოადგენს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების განხორციელებისათვის დაწესებულ ანაზღაურებას.

³ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2015 წლის 21 იანვრის N6/3 ბრძანება. ბრძანების სამართლებრივ საფუძველზე მითითებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის „ლ“, „მ“, „პ“ და 36 ქვეპუნქტები, 278-ე მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილები, საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის 2015 წლის 20 იანვრის N385 წერილი.

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

საქართველოს პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელობას

1.1 პირობითი მოსაზრება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს პარლამენტის აპარატის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის⁴:

- ┐ ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას;
- ┐ ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებას;
- ┐ ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- ┐ კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას;
- ┐ ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებას;
- ┐ ასევე მათთან დაკავშირებულ დანართებს⁵ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების შესახებ პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს პარლამენტის აპარატის ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

1.2 მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული პასუხისმგებლობები დეტალურად არის აღწერილი ანგარიშის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“ - ნაწილში.

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ვართ საქართველოს პარლამენტის აპარატისგან დამოუკიდებელი აუდიტორები. ამასთანავე, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

⁴ ფორმები NN 1; 2; 3; 4; 5.

⁵ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება. დანართები 1-დან 12-მდე.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლების შესაქმნელად.

1.2.1 მოთხოვნები

ფინანსური ანგარიშგებით დებიტორული დავალიანება შეადგენს 733,593 ლარს, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი ცხრილის სახით:

დებიტორული დავალიანება	თანხა	წარმოშობის წლები	შენიშვნა
მიმდინარე, კომპანია Microsoft-ის პროგრამების ლიცენზიების შესაძენად წლის ბოლოს ავანსად გადახდილი	649,111	2016	დაიფრა სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურთან ხელშეკრულების შესაბამისად, 2017 წლის თებერვალში მოწოდებული ლიცენზიების შედეგად.
შესყიდვები	75,715	1996-2007	მათ შორის: ი/პ მიმართ - 70,485 ლარს, ფ/პ მიმართ - 5,130 ლარს.
ქვეყნის გარეთ მოვლინებები	4,366	2000-2004	მივლინებიდან დარჩენილი თანხები პარლამენტის წევრებისა და თანამშრომლების (სულ 16 პირი).
პარლამენტარები და თანამშრომლები	4,401	2005	შრომის ანაზღაურება
სულ:	733,593		

პარლამენტის აპარატმა ჩაატარა⁶ დებიტორ-კრედიტორებთან ანგარიშსწორების ინვენტარიზაცია 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით. ინვენტარიზაციის მასალებში აღნიშნულია, რომ 75,715 ლარის დებიტორული დავალიანება უიმედოა, მათი ხანდაზმულობის ვადა გასულია და ამ დავალიანებებიდან თანხების მიღება შეუძლებელია. საინვენტარიზაციო კომისიას დებიტორების ჩამოწერასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება არ მიუღია.

ინვენტარიზაციის პერიოდში, შემდგომი ღონისძიებების გატარების მიზნით, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და სსიპ - „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ გაეგზავნათ წერილები დებიტორი ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ სრული საკონტაქტო ინფორმაციის მიწოდების თხოვნით, რასაც რეალური შედეგები არ მოჰყოლია.

მიუხედავად აღნიშნულისა, უიმედო დებიტორული დავალიანების თანხები არ ჩამოწერილა და შესაბამისად აღირიცხული არ არის საცნობარო - „გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანების“ მუხლში.

შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში მოთხოვნების ნაწილში აქტივები 75,715 ლარით ზედმეტად არის წარმოდგენილი.

⁶ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2016 წლის 30 სექტემბრის N180/3 ბრძანება.

1.2.2 ვალდებულებები

ფინანსური ანგარიშგებით კრედიტორული დავალიანება შეადგენს 3,790,464 ლარს, საიდანაც 3,783,863 ლარის კრედიტორულ დავალიანებას ხანდაზმულობის ვადა გასული აქვს. იხ. ცხრილი:

კრედიტორული დავალიანება	თანხა	წარმოშობის წლები	შენიშვნა
საქონლისა და მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები	2,776,294	1996-2005	მიღებული საქონლი და მომსახურება
მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების სადეპუტატო უფლებამოსილების და ბინის ქირის დავალიანება	655,100	1996-2005	სადეპუტატო უფლებამოსილების და ბინის ქირის დავალიანება
ბიუჯეტის - ჯანდაცვისა და სოციალური ფონდების დავალიანება	319,025	1998-1999	არ დასტურდება შემოსავლების სამსახურის შედარების აქტით
დეპონირებული თანხებით წარმოშობილი ვალდებულება	23,356	1996-2005	ყოფილი პარლამენტარების შრომის ანაზღაურების დეპონირებული თანხები.
საშემოსავლო გადასახადის დავალიანება	6,100	1996-2010	არ დასტურდება შემოსავლების სამსახურის შედარების აქტით
სხვადასხვა დავალიანება სხვადასხვა პირებზე (21 პირი)	3,988	1996-2010	დავალიანებას შრომის ანაზღაურება, ბიულეტენი, მივლინებები და სხვ.
სულ:	3,783,863		

კრედიტორებთან ანგარიშსწორების ინვენტარიზაცია⁷ ჩატარდა 2016 წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით. ინვენტარიზაციის მასალებში აღნიშნულია, რომ კრედიტორული დავალიანების ხანდაზმულობის ვადა გასულია⁸. მიუხედავად ამისა, საინვენტარიზაციო კომისიას კრედიტორების ჩამოწერასთან დაკავშირებით შესაბამისი გადაწყვეტილება არ მიუღია⁹ და ისინი 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ირიცხებიან ბალანსზე.

შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში ხანდაზმული ვალდებულებები, ჩამოწერის გარეშე, 3,783,863 ლარით ზედმეტად არის წარმოდგენილი.

1.2.3 არასაბიუჯეტო სახსრები

ფინანსური შედეგების, ფულადი სახსრების მოძრაობის და კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშები არასრულად ასახავს არასაბიუჯეტო სახსრებს, რადგან მასში ასახული

⁷ საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის 2016 წლის 30 სექტემბრის N180/3 ბრძანება.

⁸ 3,783,864 ლარი ასევე გადატანილია საცნობარო მუხლებში (09) ანგარიშზე.

⁹ 2016 წელს მოქმედი N429 ინსტრუქციის 30-ე მუხლის („ფინანსური ვალდებულებებით და სხვა კრედიტორული დავალიანებებით ოპერაციები და სხვა მოვლენები“) 30-ე პუნქტით, 2017 წლის 19 აპრილის ფინანსთა მინისტრის N135 ბრძანებით მოქმედი N429-ე ინსტრუქციის 46-ე მუხლის 30-ე პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი გადაწყვეტილება.

არ არის საქართველოს პარლამენტის აპარატის სადეპოზიტო ანგარიშზე ქვემოთ მოცემული იჯარის და ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის საგარანტიო თანხები¹⁰, კერძოდ :

შემოსავლის ნაწილში:	თანხა	შენიშვნა
შპს „ედუსის“	38,304	2016 წლის საქართველოს პარლამენტის საიჯარო ქონებით სარგებლობის საფასური
შპს „ედუსის“	6,000	აპარატის მიერ მოიჯარისგან მიღებული „ბე“ 2017 წელს იჯარით გასაცემი ქონებისთვის
შპს - 5 Starr-ის	600	აპარატის მიერ მოიჯარისგან მიღებული „ბე“ 2017 წელს იჯარით გასაცემი ქონებისთვის
ფიზიკური პირის	42	ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის საგარანტიო თანხა.
სულ	44,946	
გასავლის ნაწილში:		
გადარიცხულია ბიუჯეტში	38,346	2016 წლის საიჯარო ქონებით სარგებლობის საფასურის ბიუჯეტში გადარიცხვა და ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის საგარანტიო თანხა.
სულ:	38,346	

აღსანიშნავია, რომ 6,600 ლარის გარდა, აღნიშნული თანხები არა მარტო ფინანსურ ანგარიშგებაში, არამედ ბუღალტრულ აღრიცხვაშიც არ იყო ასახული - არც შემოსავლებში და არც გასავლებში. შესაბამისად, არ არის დაცული ინსტრუქციის მოთხოვნები იჯარის სააღრიცხვო პოლიტიკასთან მიმართებით. იჯარით მიღებული თანხები უნდა აღიარდეს შემოსავლად და ამავე დროს ვალდებულად ბიუჯეტის მიმართ.¹¹

1.2.4 მაჟორიტარული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრების ბიუროების

ხარჯები

მაჟორიტარული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრის ბიუროს ფუნქციონირებისა და საქმიანობისათვის პარლამენტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის განკარგვის წესით განსაზღვრულია „საპარლამენტო საქმიანობის“ წარმომადგენლობითი ხარჯებიდან მაჟორიტარების ბიუროების დაფინანსება. ბიუროების ფუნქციონირებისა და საქმიანობის უზრუნველსაყოფად დაფინანსება ხდება ორი გზით:

1. პარლამენტის აპარატის მიერ პარლამენტის ბიუჯეტიდან ერთჯერადად გამოყოფილი 5,000 ლარის ოდენობით თანხამ 2016 წელს სულ შეადგინა 149,728 ლარი, რომელიც მთლიანად გადაერიცხა ბიუროებს საბანკო ანგარიშებზე;


¹⁰ ელექტრონული აუქციონის შედეგად 2016 წლის საიჯარო ხელშეკრულება შპს „ედუსი“-სთან გაფორმებული 2015 წლის 2 ივლისს საიჯარო ქირის გადასახადი განისაზღვრა 38,304 ლარის ოდენობით, რომელიც შემდგომ აღარ გადასინჯულა.

¹¹ მუხლი 39-ე „იჯარის სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები“; მუხლი მე-40 „იჯარიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვა“

2. ყოველთვიურად გამოყოფილმა თანხამ 5,000 ლარის ოდენობით, 2016 წელს სულ შეადგინა 4,225,658 ლარი. ამ თანხების ხარჯვა ხორციელდება:

- ┐ პარლამენტის აპარატის მიერ ხაზინის ანგარიშიდან და
- ┐ მაჟორიტარების მიერ ბიუროების საბანკო ანგარიშებიდან;

მაჟორიტარების ბიუროების დაფინანსების სქემა წარმოდგენილია ქვემოთ:



ბიუროების საბანკო ანგარიშებიდან გაწეული ხარჯების ბუღალტრული აღრიცხვა არ ხორციელდება¹². პარლამენტის აპარატი 3 თვეში ერთხელ აგროვებს ბიუროების საბანკო ანგარიშიდან გაწეული ხარჯების პირველად დოკუმენტებს, რითაც კონტროლდება გაწეული ხარჯების მიზნობრიობა.

¹² მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიურო არ არის იურიდიული პირი. მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს გახსნილი საბანკო ანგარიში კომერციულ ბანკში და მინიჭებული აქვს გადაამხდელის საინდეტიფიკაციო კოდი, ბიურო არ არის ვალდებული აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა. ბიუროსთვის გამოყოფილი ქონებისა და ბიუროს ანგარიშზე არსებული თანხის განკარგვისათვის პასუხისმგებელია მაჟორიტარი პარლამენტის წევრი.

რადგან მაჟორიტარების ბიუროები არ წარმოადგენენ პარლამენტის აპარატის შემადგენელ ნაწილს, მაგრამ ხარჯებთან მიმართებით ანგარიშვალდებულნი არიან აპარატის წინაშე. მიგვაჩნია, რომ პარლამენტის აპარატი უნდა აწარმოებდეს ისეთ ბუღალტრულ აღრიცხვას და ფინანსურ ანგარიშგებას¹³, რომ ზუსტად და სრულად აღირიცხოს ორგანიზაციული კოდის - „0101 საპარლამენტო საქმიანობა“, რაც ასევე მოიცავს მაჟორიტარების ბიუროების საქმიანობასაც.

მაჟორიტარული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრების ბიუროების ხარჯები არასრულად არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში, კერძოდ:

1. ფინანსური ანგარიშგება არარეალურად ასახავს „საქონელი და მომსახურების“ ხარჯებს „წარმომადგენლობითი ხარჯების“ - ბიუროებზე გადარიცხული თანხების ნაწილში 1,181,338 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა წარმოადგენს წარმომადგენლობითი კლასიფიკაციის 2.2.4 კოდიდან გაწეულ საკასო ხარჯს და მათი ფაქტობრივ ხარჯად აღიარება უნდა მოხდეს შესაბამისი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე.
2. ბიუროებზე გადარიცხული თანხები თავისი ბუნებით „ანგარიშვალდებულ პირებზე განაცემების“ იდენტურია და შესაბამისად:
 - ⌋ მათ საბანკო ანგარიშებზე დარჩენილი ნაშთები აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს და უნდა ირიცხებოდეს ბალანსში აქტივებად (მოთხოვნების ანგარიშებზე), რამაც 2016 წლის 1-ლი იანვრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 490,501 ლარი და 335,045 ლარი, შესაბამისად;
 - ⌋ ბიუჯეტში დაბრუნებული გამოუყენებელი თანხები (აქტივები) 284,418 ლარის ოდენობით აღრიცხული უნდა იყოს როგორც ბიუჯეტში დაბრუნებული გამოუყენებელი თანხები ან ხარჯების შემცირება და არა როგორც ფაქტობრივი ხარჯები;
 - ⌋ ფაქტობრივ ხარჯებს არ წარმოადგენს ბიუროების მიერ საკუთარი ანგარიშებიდან შეძენილი არაფინანსური აქტივები, რომლებიც პარლამენტის აპარატის მიერ ბიუროებში ჩატარებული ინვენტარიზაციების შემდეგ პარლამენტის აპარატის ბალანსში აქტივებშია აღრიცხული. აღნიშნული არაფინანსური აქტივების შესაბამისი თანხები, ერთხელ უკვე იყო ჩამოწერილი ხარჯებში, ხოლო ინვენტარიზაციის შემდგომ არაფინანსური აქტივების შემოსავალში აღებით, ერთსა და იმავე თანხაზე მეორე ოპერაცია აისახა.

¹³ N429 ინსტრუქციის შესაბამისად.

1.2.5 ბუღალტრული გატარებები: არასწორად კლასიფიცირებული მუხლები

აუდიტის შედეგად გამოვლინდა უზუსტოდ კლასიფიცირებული აქტივების, ვალდებულებების და ხარჯების მუხლები, კერძოდ:

მაკორექტირებელი გატარება	კორექტირება	უზუსტობის გავლენა
კრედიტორული დავალიანება		
„სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები“ - N3220	250,716	2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოკლევადიანი ვალდებულებები არასწორად არის კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები
„გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები“ - N3300	-250,716	
შრომის ანაზღაურება		
შრომის ანაზღაურების (2.1.1.1.4 დანამატი)	-32,625	დანართ N2-ში შტატგარეშე მომუშავეებზე გაცემული დანამატი ნაცვლად „საქონელი და მომსახურების“ მუხლისა გაწეულია და აღრიცხულია შრომის ანაზღაურების დანამატის მუხლში.
საქონელი და მომსახურების (2.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება) ხარჯები	32,625	
ძირითადი აქტივები		
„შენობა-ნაგებობები“ ანგარიში N2112	-10,776,744	2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ¹⁴ , მატერიალური ფასეულობების ღირებულება ბუღალტრულად მიკუთვნებულია და აღრიცხულია ბალანსის „შენობა - ნაგებობების“ მუხლში, რომლებიც ფუნქციური დანიშნულებისა და მომსახურების ვადებიდან გამომდინარე, არ წარმოადგენს პარლამენტის შენობა-ნაგებობების განუყოფელ ნაწილს ¹⁵ .
„მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ - ანგარიში N2122	10,776,744	აღნიშნულიდან გამომდინარე, ისინი ექვემდებარება „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლში აღრიცხვას და ცვეთის დარიცხვის განსხვავებული ნორმების გამოყენებას.
ცვეთის ხარჯის გაანგარიშება რეალურად შესაძლებელი იქნება შენობაზე მიკუთვნების მიხედვით, მატერიალური ფასეულობების გამოჯენის შემდეგ.		

¹⁴ კორექტირების თანხა შესადარის პერიოდზე: 2014 წელს შემენილი იყო 11,110,045 ლარის, რომელსაც ცვეთა ყოველ წელს ერიცხება 1% - 111,101 ლარი, ანუ, 2014 წლის ბოლოს იყო 10,998,945 ლარი, ხოლო 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 10,887,845 ლარი.

¹⁵ ინსტრუქციის 34-ე მუხლის მე-11 პუნქტით („არაფინანსური აქტივების სააღრიცხვო პოლიტიკა“, ყველა იმ მოწყობილობის, დანადგარის, აპარატისა და ხელსაწყოების ღირებულება, რომლებიც ძირითადი აქტივების განუყოფელ ნაწილებს წარმოადგენს, ემატება ამ აქტივების ღირებულებას.

2. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს ერთეულის ფუნქციონირებადობის (საჯარო მომსახურების უწყვეტად მიწოდების) უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განზრახულია ერთეულის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან ასეთი ქმედების რეალური ალტერნატივა არ არსებობს.

3. აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცლაკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. ამასთანავე, ჩვენ აგრეთვე:

-) ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ

აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიზოდებას ან დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას.

- J) შევისწავლით აუდიტისათვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ საქართველოს პარლამენტის აპარატის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე,
- J) ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- J) დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელების მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ვადგენთ არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა საქართველოს პარლამენტის აპარატის ფუნქციონირებადობასთან (უწყვეტობასთან) დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ საქართველოს პარლამენტის აპარატის ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, სადაც აღწერილია აღნიშნული განუსაზღვრელობები, ან თუ ამგვარი შენიშვნები ადეკვატური არ არის, გამოვთქვათ მოდიფიცირებული მოსაზრება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, აუდიტის დასკვნის თარიღის შემდგომი მოვლენების ან პირობების გავლენით, საქართველოს პარლამენტის აპარატი შესაძლოა აღარ იყოს ფუნქციონირებადი ერთეული.
- J) ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. აგრეთვე, უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში

წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნის თარიღი: 24/01/2018

გურამ ყავლაშვილი, წამყვანი აუდიტორი
თეიმურაზ გოდუაძე, უფროსი აუდიტორი
გიორგი მურვანიძე, აუდიტორ-ასისტენტი

ხელმოწერა
24/01/2018
თქმ

დანართი 1: საქართველოს პარლამენტის აპარატის ფინანსური ანგარიშგება

ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)

დასახელება	31.12.2016	01.01.2016
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფულადი სახსრები	6,695	95
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	4,401	4,401
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	729,192	103,653
სხვა მატერიალური მარაგები	627,352	631,873
სულ მოკლევადიანი აქტივები	1,367,640	740,022
გრძელვადიანი აქტივები		
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	-	-
სტრატეგიული მარაგები	-	-
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	15,312	21,770
ძირითადი აქტივები	348,733,583	106,853,645
ფასეულობები	-	-
არაწარმოებული აქტივები	21,415,165	6,467,000
სულ გრძელვადიანი აქტივები	370,164,060	113,342,415
ბალანსი	371,531,700	114,082,437
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები		
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	6,695	95
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3,783,768	3,806,510
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3,790,463	3,806,605
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	-	250,716
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	250,716
სულ ვალდებულებები	3,790,463	4,057,321
კაპიტალი		
აქტივების წმინდა ღირებულება	367,741,237	110,025,116
გაუნაწილებელი მოგება	-	-
დაუფარავი ზარალი	-	-
სულ კაპიტალი	367,741,237	110,025,116
ბალანსი	371,531,700	114,082,437

ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში

დასახელება	ბიუჯეტი	არასაბიუჯეტო	2106 წ. 31 დეკემბერი სულ	2015 წლის 31 დეკემბერი
ბიუჯეტიდან დაფინანსება	47,744,910		47,744,910	41,740,909
შემოსავლები	262,097,101	-	262,097,101	4,729,592
გადასახადები	-	-	-	-
სოციალური შენატანები	-	-	-	-
გრანტები	262,097,101	-	262,097,101	4,729,592
სხვა შემოსავლები		-		
ა) ქონებასთან დაკავშირებული შემოსავლები	-	-	-	-
ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	-	-	-	-
გ) სანქციები, ჯარიმები, საურავები	-	-	-	-
დ) ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	-	-	-	-
ე) სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	-	-	-	-
სულ:	309,842,011	-	309,842,011	46,470,501
ხარჯები				
მომუშავეთა ანაზღაურება	24,787,184	-	24,787,184	24,667,727
საქონელი და მომსახურება	20,953,343	-	20,953,343	15,423,758
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	5,557,777	-	5,557,777	2,934,440
პროცენტი	-	-	-	-
სუბსიდიები	-	-	-	-
გრანტები	210,087	-	210,087	610,016
სოციალური უზრუნველყოფა	270,737	-	270,737	315,080
სხვა ხარჯები	363,445	-	363,445	467,042
რეალიზებული მარაგების ხარჯი	-	-	-	-
სულ:	52,142,575	-	52,142,575	44,418,063
ფინანსური შედეგი	257,699,438	-	257,699,438	2,052,438

ფორმა N3 - ფულადი მოძრაობის შესახებ ანგარიში

დასახელება	ხაზინის ერთიანი ანგარიში	საკუთარი ფულადი სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ
წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	257,716,121	-	-	257,716,121
კორექტირებები:	(255,614,895)	-	-	(255,614,895)
ცვეთა (+)	5,557,777	-	-	5,557,777
აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+)	(261,184,481)	-	-	(261,184,481)
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	4,521	-	-	4,521
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (-/+)	6,458	-	-	6,458
დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	23,572	-	-	23,572
კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	(22,742)	-	-	(22,742)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2,101,226	-	-	2,101,226
ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				
არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-	-	-	-
ძირითადი აქტივები	-	-	-	-
სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
ფასეულობები	-	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-
არაფინანსური აქტივების შესყიდვა	2,101,226	-	-	2,101,226
ძირითადი აქტივები	2,101,226	-	-	2,101,226
სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
ფასეულობები	-	-	-	-
